წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების პროგრამა

წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა–გიმნაზიის დირექტორის

ბრძანება

№203 **14 სექტემბერი, 2022წ.**
სენაკი

ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43–ე მუხლის მე–2 პუნქტისა და სკოლა–გიმნაზიის დებულების მე–18 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2022-2023 სასწავლო წლისათვის სკოლა-გიმნაზიის ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა დანართი 1-ის შესაბამისად;

2. დაევალოს სკოლა–გიმნაზიის საქმისმწარმოებელ გურანდა გრიგოლავას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;

3. შევიდეს ბრძანება ძალაში ხელმოწერისთანავე;

სკოლა–გიმნაზიის დირექტორი **ნინო ჯანჯღავა**

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 2. პროფესიული განვითარების საჭიროებების შესწავლა და ანალიზი 4

მუხლი 3. პროფესიული განვითარების პროგრამები 4

მუხლი 4. პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი მოვალეობები 5

მუხლი 5. პროფესიული განვითარების პროგრამების განრიგი 5

მუხლი 6. პროფესიული განვითარების პროგრამების სახეები 6

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განათლების მექანიზმებს, მათი პროფესიული მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით;
2. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის (შემდგომში - სკოლა-გიმნაზია) მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განათლება.

მუხლი 2. პროფესიული განვითარების საჭიროებების შესწავლა და ანალიზი

1. პროფესიული განვითარება გრძელვადიანი პროცესია და მისი მიზანია, სკოლა-გიმნაზიის პედაგოგებს გაუღრმაოს არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისი ცოდნა;
2. იმის დასადგენად, თუ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები ესაჭიროებათ პედაგოგებს, აუცილებელია, შეფასდეს მათი საქმიანობა და მხოლოდ ამის საფუძველზე შემუშავდეს პროგრამების სასწავლო მიზნები;
3. მოთხოვნების გამოვლენა შესაძლებელია თანამშრომელთა შეფასების ფორმებისა და ე.წ. „სვოტ“ (SWOT) ანალიზის საფუძველზე, ასევე სასწავლო პროცესზე რეგულარული მონიტორინგითა და გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენისათვის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციით.

მუხლი 3. პროფესიული განვითარების პროგრამები

1. პროფესიული განვითარების პროგრამები ყოველთვის ახლო კავშირში უნდა იყოს სკოლა-გიმნაზიის მოთხოვნებთან და ხელს უწყობდეს სკოლა-გიმნაზიის განვითარების გეგმაში დასახული მიზნების შესრულებას;
2. პედაგოგებისათვის განკუთვნილი პროფესიული განვითარების პროგრამები მიზნად უნდა ისახავდეს პროფესიული კომპეტენციის ამაღლებას ქვემოთ ჩამოთვლილი საკითხებიდან ერთ-ერთში მაინც:

    - საგნის ცოდნა;
    - შეფასების სტრატეგიები;
    - მეთოდები და სასწავლო გეგმა;
    - განათლების სისტემის ეროვნული პრიორიტეტები;
    - განათლების პროცესში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება.

მუხლი 4. პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი მოვალეობები

1. სკოლა-გიმნაზიის დირექტორის მოვალეობაა, შეიმუშაოს პროფესიული განვითარების პროგრამები და უზრუნველყოს თითოეული პედაგოგის მონაწილეობა მათი პროფესიული მოთხოვნებისა და საჭიროებების გათვალისწინებით;
2. დირექტორი უზრუნველყოფს, რომ პროფესიული განვითარების პროგრამები იყოს სისტემატური, კვლევაზე დაფუძნებული, სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის შესაბამისი, უწყვეტი და შედეგებზე ორიენტირებული;
3. დირექტორმა უნდა გამოყოს პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსები (დრო, ბიუჯეტი, ადმინისტრაციული რესურსები და სხვ.), რათა შესაძლებელი გახდეს მათი ეფექტური განხორციელება. თუ სკოლის ბიუჯეტი ამის შესაძლებლობას არ იძლევა, იზრუნოს დამატებითი სახსრების მოძიებაზე;
4. დირექტორმა პროფესიული განვითარების პროგრამების თემატიკის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენოს გამოკითხვებისა და სხვა კვლევების მონაცემები და შედეგები;
5. დირექტორმა უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, მშობლებსა და სკოლა-გიმნაზიის საზოგადოების წევრებს სკოლა-გიმნაზიის საქმიანობის გაუმჯობესების გეგმისა და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო რესურსების შესახებ;
6. დირექტორი პედაგოგთა მიმდინარე პროფესიული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით წარუდგენს ანგარიშს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც თავის მხრივ მონიტორინგს და ზედამხედველობას განახორციელებს ამ პროგრამების მიმდინარეობაზე.

მუხლი 5. პროფესიული განვითარების პროგრამების განრიგი

1. განრიგის ეფექტურ შემუშავებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება პედაგოგთა პროფესიული განვითარების დაგეგმვისას;
2. უწყვეტი პროფესიული განვითარების გეგმა უნდა შემუშავდეს ერთი წლის ვადით;
3. მასწავლებელთა მონაწილეობამ პროფესიული გადამზადების პროგრამებში ხელი არ უნდა შეუშალოს საგანმანათლებლო პროცესს სკოლაში;
4. სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელობა ვალდებულია, პედაგოგებს აუხსნას, რომ პროფესიული ზრდისა და მოსწავლეთა განათლების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია პროფესიული განვითარებისათვის სათანადო დროის გამოყოფა;
5. **პროფესიული განვითარების დაგეგმვისას სასარგებლო იქნება შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:**

   5.1 **გახანგრძლივებული სამუშაო დღე** - პროფესიული განვითარებისათვის საჭირო დრო შეიძლება გამოინახოს სამუშაო დღის გახანგრძლივებით (დილის ან საღამოს საათების დამატებით) ან შუადღის შესვენების დროის გაზრდით;

5.2 **სამუშაო დღეების გაზრდა** - სკოლა-გიმნაზიას შეუძლია, პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისთვის გაზარდოს სამუშაო დღეების რაოდენობა;

5.3 **საზაფხულო ტრენინგები** - სკოლა-გიმნაზიას შეუძლია, ეფექტურად და უმტკივნეულოდ გამოიყენოს ზაფხულის პერიოდი (როდესაც სკოლაში გაკვეთილები არ ტარდება) პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელებისათვის;

5.4 **მასწავლებელთა ჩანაცვლება** - სკოლა-გიმნაზიამ შეიძლება შეიმუშაოს გაკვეთილების ისეთი ცხრილი, რომელიც შესაძლებელს გახდის ერთი მასწავლებლის მიერ გადამზადების პროგრამაში მონაწილე მასწავლებლის დროებით ჩანაცვლებას;

5.5 **შაბათ-კვირა** - ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს შაბათ-კვირის გამოყენებაც;

5.6 ზოგიერთი სტრატეგიის გამოყენება შეიძლება რთული განსახორციელებელი აღმოჩნდეს თვითონ მასწავლებლისათვის. მაგრამ მიუხედავად ამისა, სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელობასა და პედაგოგებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე აუცილებლად უნდა გამოინახოს დრო პროფესიული განვითარების პროგრამებისათვის.

მუხლი 6. პროფესიული განვითარების პროგრამების სახეები

1. პროფესიული განვითარების მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებებით, მაგრამ მათი დაგეგმვისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ კონკრეტული ღონისძიება მიზნად უნდა ისახავდეს ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენასა და გაუმჯობესებას საჭირო სფეროში;
2. პროფესიული განვითარების მოთხოვნილების უზრუნველსაყოფად სკოლა-გიმნაზიამ ქვემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებიდან უნდა შეარჩიოს ისეთი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მის სპეციფიკასა და პირობებს:

2.1. სკოლა-გიმნაზიასა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობა - სკოლა-გიმნაზიასა და ადგილობრივ უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის შედეგად შესაძლებელია პედაგოგებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის სპეციალური კურსების შექმნა, რომელიც შეიძლება ჩატარდეს სკოლა-გიმნაზიაში ან, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, შესაძლოა, სკოლა-გიმნაზიის პედაგოგებს მოუწიოთ, შესაბამის კურსებს უნივერსიტეტებში დაესწრონ;

2.2. ნებისმიერი სახით/ნებისმიერ დროს პროფესიული განვითარება - ასეთი მიდგომა მისაღები და გამოსადეგია ნებისმიერი დისციპლინისათვის. განვითარება შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა ფორმატით, მათ შორის, ვიდეოჩანაწერების, ინტერნეტისა და დისტანციური სწავლების კურსების ან სხვა მედიასაშუალებების გამოყენებით;

2.3. არასამთავრობო ორგანიზაციების ან სახელმწიფო უწყებების მიერ შეთავაზებული სპეციალური კურსები (სემინარები, ტრენინგები) - ასეთი სპეციალური კურსები ხშირად ეწყობა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. სკოლა-გიმნაზიის ადმინისტრაციის მოვალობაა, უზრუნველყოს ამგვარი სემინარებისა და ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება სკოლა-გიმნაზიაში. სასარგებლოა ამ ღონისძიებებში ჩართული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება, რათა

სკოლა-გიმნაზია დროულად იყოს ინფორმირებული მათ მიერ განხორციელებული პროგრამების შესახებ;

2.4. **პროექტების შემუშავება** - პროფესიული განვითარების ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს ასევე სპეციალური პროექტების შემუშავება, რომელიც უშუალოდ იქნება დაკავშირებული სკოლა-გიმნაზიის განვითარების არსებულ მოთხოვნილებებთან. ამ პროექტებისთვის დაფინანსების მოძიება შესაძლებელია განათლების საკითხებზე მომუშავე დონორი ორგანიზაციებიდან;

2.5. **კონფერენციები** - კონფერენციებში მონაწილეობა ცოდნის ამაღლებისა და იდეების გაცვლის კარგი საშუალებაა როგორც პედაგოგებისათვის, ისე ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. ზოგიერთ შემთხვევაში კონფერენციებზე დასწრება, შესაძლოა, გარკვეულ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული. სკოლა-გიმნაზიის ხელმძღვანელობის მოვალეობაა, შეძლებისდაგვარად უზრუნველყოს ამ მიზნებისათვის თანხების გამოყოფა.

2.6. **სკოლებთან თანამშრომლობა** - ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობა ეფექტური მიდგომაა არა მარტო კონკრეტულად ერთი სკოლის პროფესიული განვითარებისათვის, არამედ მთელი რაიონის მასშტაბით არსებული სკოლებისათვის. მრგვალი მაგიდები, ერთობლივი კონფერენციები და სხვადასხვა ღონისძიებები დაეხმარება სკოლებს საგანმანათლებლო წარმატებების ერთობლივი ძალისხმევით მიღწევაში.

2.7. **კოლეგების გამოცდილების გაზიარება** - პროფესიული განვითარების კიდევ ერთი კარგი საშუალებაა კოლეგების საქმიანობაზე დაკვირვება და მათი გამოცდილების გაზიარება. ამ პროცესის დროს მასწავლებელი აკვირდება თავისი კოლეგის პრაქტიკას, ხოლო შემდეგ აცნობს მას თავისი დაკვირვების შედეგებს. იმისათვის, რომ დაკვირვება ორივე მხარისათვის იყოს მომგებიანი, აუცილებელია, კოლეგებს შორის ნდობა და ურთიერთდახმარების სურვილი არსებობდეს. ეს მეთოდი განსაკუთრებით გამოსადეგია სწავლების ახალი სტრატეგიების განვითარებისას;

2.8. **გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა სკოლის მასწავლებლებს შორის** - მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ღონისძიება შეიძლება საკმაოდ რთული ჩანდეს, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა-გიმნაზია მოიაზრება როგორც კონკურენტი. სხვადასხვა სკოლის პედაგოგებს შორის სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომების გაზიარება სასარგებლო იქნება თითოეული სკოლისათვის. სკოლის ხელმძღვანელობაზე იქნება დამოკიდებული ასეთი ღონისძიებების მხრდაჭერა და პედაგოგების დარწმუნება ამ პრაქტიკის სასარგებლო მხარეებში;

2.9. **მენტორობა** - დამწყები და ნაკლებად გამოცდილი პედაგოგებისათვის წარმატებულ და გამოცდილ პედაგოგთან, როგორც მენტორთან, მუშაობა პროფესიული განვითარების ძალიან კარგი საშუალებაა. ამისათვის აუცილებელია ექსპერტ-მასწავლებლების მომზადება, რომ მათ შეეძლოთ მენტორობის გაწევა, პროფესიული დიალოგის წარმართვა და შეფასებების გაკეთება. მენტორობა შეიძლება სხვადასხვა საშუალებით განხორციელდეს, მაგალითად: რეგულარული შეხვედრების ორგანიზებით, გაკვეთილებზე დაკვირვებით და სხვ;

2.10. პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართვა-ერთ-ერთი კარგი საშუალებაა სკოლა-გიმნაზიაში მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად და სწავლების ხარისხის ასამაღლებლად მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზით.